

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს  
სხდომა**

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:**

ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. № 75

**სხდომის დაწყების დრო:** 19:21

**სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:**

ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), მალხაზ ჯანგირაშვილი, ნოდარ ფეიქრიშვილი, ბესარიონ აბაშიძე, ზაზა ბიბილაშვილი, ზვიად კორძაძე, გონა სვანიძე, იოსებ ბარათაშვილი, იმედა დვალიძე, ცისმარი ონიანი.

**დღის წესრიგი:**

1. ასოციაციაში გაწევრიანების მსურველთა დოკუმენტაციის განხილვა და გაწევრიანება;
2. აღმასრულებელი საბჭოს დავალების შესაბამისად ბიუჯეტის განხილვა;
  - ა) თანხის მოძრაობა ბოლო სამი წლის განმავლობაში საანგარიშო პერიოდების მიხედვით;
  - ბ) ორგანიზაციის საბუღალტრო აღრიცხვის ჟურნალის ელექტრონულ ვერსიასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

**საბჭოს მსჯელობის შემდეგ ერთხმად**

**გ ა დ ა წ ყ დ ა:**

1. 32 კანდიდატიდან, 31 პირი მიღებულ იქნას ასოციაციის წევრად, ხოლო ერთ კანდიდატს—ქეთევან თურაზაშვილს დროებით ეთქვას უარი საბუთების არასრულყოფილად წარმოდგენის გამო;
2. ასოციაციის თავმჯდომარის სახელით გაიგზავნოს ოფიციალური წერილი ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარის –კახაბერ ასლანიშვილის და ყოფილი ბუღალტრის– ოლღა ყურაშვილი მისამართით, სადაც დაფიქსირებული იქნება შემდეგი მოთხოვნა: ოლღა ყურაშვილის მიერ,

დადასტურებული ან უარყოფილი იქნას ასოციაციის კუთვნილი საბუღალტრო აღრიცხვის ჟურნალის ელექტრონული ვერსიის არსებობა, ინახებოდა თუ არა ის მის კუთვნილ კომპიუტერში. ასევე გაგზავნილ იქნას წერილი კახაბერ ასლანიშვილის მისამართით, სადაც დაფიქსირებული იქნება შემდეგი: კახაბერ ასლანიშვილის მიერ წარმოდგენილ იქნას აღმასრულებელი საბჭოს თანხმობა ამჟამად არსებული ასოციაციის ფართის შექმნის თაობაზე; დაბრუნებულ იქნას, აუდიტის დასკვნის მიხედვით – უკანონო ხელფასის სახით მის მიერ აღებული 52500 ლარი; ასევე, გადაბარებულ იქნას საბუღალტრო დოკუმენტები და ძირითადი საშუალებები;

3. ყოფილი ბუღალტრის კომპიუტერი გადაგზავნილ იქნას შესამოწმებლად შესაბამის კომპანიაში ხელშეკრულების საფუძველზე;

4. ა) შეიქმნას ორი მუდმივმოქმედი კომიტეტი:

- სისხლის სამართლის კომიტეტი. ხელმძღვანელი - იოსებ ბარათაშვილი.
- სამოქალაქო სამართლის კომიტეტი - ხელმძღვანელი ბესარიონ აბაშიძე.

ბ) შეიქმნას დროებითი კომისია:

წესდებისა და ეთიკის დისციპლინარული დებულების სრულყოფის მიზნით ხელმძღვანელობა დაევალოს ზაზა ხატიაშვილს.

ვ) განისაზღვროს შემდეგი საკურატორო მიმართულებები:

- სასწავლო მიმართულება - (განგრძობადი იურიდიული განათლება, ტესტირება, ადვოკატთა სასწავლო ცენტრი). ხელმძღვანელები - ცისმარ ონიანი და ქეთევან ბექაური;
- რეგიონალური განვითარების მიმართულება - ხელმძღვანელები გოჩა სვანიძე და ნოდარ ფეიქრიშვილი;
- ასოციაციის წევრებთან ურთიერთობის მიმართულება - ხელმძღვანელი - ზვიად კორძაძე;
- ადვოკატთა უფლებების დაცვისა და სოციალური საკითხების მიმართულება - ხელმძღვანელი მალხაზ ჯანგირაშვილი;
- სახელმწიფოსთან ურთიერთობის მიმართულება - ხელმძღვანელი იმედა დვალიძე;
- საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება - ხელმძღვანელი ზაზა ბიბილაშვილი.

ზაზა ხატიაშვილი

ასოციაციის თავმჯდომარე